თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N 13

ქ. თელავი 21.08.2019 წელი

თავმჯდომარეობდა: **დ. გოგოშვილი**

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: **ტ. დარეჯანიშვილი; ლ. მრელაშვილი; ა. შათირიშვილი; ნ. ხვისტანი; ა. მახარიაშვილი; გ. მამუკელაშვილი.**

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: დეპუტატი: ფრაქცია „ქართული ოცნება-„კორსერვატორები"-ს თავმჯდომარე - **მ. მარკოზაშვილი**; ფრაქცია „ქართული ოცნება-მწვანეები"-ს თავმჯდომარე - **გ. ჩაბრაშვილი.** საკრებულოს აპარატის უფროსი - **ტ. გალახვარიძე.** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში მოწვეული სპეციალისტი - **ლ. ფარსადანიშვილი**; საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და პიარის სპეციალისტი - **ნ. ესიტაშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - **ნ. ვაყელიშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - **დ. ქსოვრელიშვილი**; თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გ. ენუქიძე.**

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

2. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი - დ. გოგოშვილი

<u>მოისმინეს:</u> 1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის N70 დადგენილებაში „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტის განხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვა თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს;**

მან აღნიშნა, რომ პროექტი ეხება „მერების შეთანხმების" პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების თანადაფინანსებისთვის ქ. თელავის N1 ბაგა-ბაღი და სოფ. იყალთოს ბაგა-ბაღის შენობების სრული თერმო-მოდერნიზაცია განახლებადი ენერგიისა და ენერგოეფექტური ტექნოლოგიების გათვალისწინებით. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ოთახის მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის, ქ. თელავის N2 სამუსიკო სკოლის შენობაში გათბობის სისტემის მოწყობის და ფანჯრების შეცვლის სამუშაოებისათვის, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ზოგადი კონტროლის კამერების ახალი საკაბელო ქსელის მოწყობისთვის, ა(ა)იპ „მოვუსმინოთ სამყაროს" საგრანტო პროექტის თანადაფინანსებისათვის. ა(ა)იპ ჭიდაობის სპორტული სკოლა „თელავი"-ს დაფინანსებისათვის თანხების მობილიზებას. ასევე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ივლისის N1720 განკარგულებით, „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის N554 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე , გამოყოფილი თანხების დაზუსტებას. რის საფუძველზეც ბიუჯეტი განისაზღვრა 36804.28 ათ. ლარის ოდენობით.

კომისიის წევრების მოთხოვნის მიხედვით, საკითხთან დაკავშირებით განმარტებები გააკეთეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა - **დ. ქსოვრელიშვილმა** და თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა - **გ. ენუქიძემ.**

<u>გადაწყვიტეს:</u> კომისიის წევრებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

<u>მოისმინეს:</u> 2. თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> დ. გოგოშვილმა და კომისიის წევრებმა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით განმარტებები მოსთხოვეს თელავის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსს - **ნ. ვაყელიშვილს** და თელავის

მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს - **დ. ქსოვრელიშვილს**, რაზეც ამომწურავი პასუხი მიიღეს.

<u>გადაწყვიტეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა შეფასდეს დამაკმაყოფილებლად. (თან ერთვის ერთ ფურცლად) და წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას.

საფინანსო-საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე — დ. გოგოშვილი

შ ე ფ ა ს ე ბ ა

თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვის შესახებ

2019 წლის 21 აგვისტოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ, განხილულ იქნა „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა“

წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის კვარტალური (6 თვის) გეგმა შესრულდა 117,10%-ით, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საგრძნობლადაა გაზრდილი. ასევე გაზრდილია ძირითადი პარამეტრების შესრულების მაჩვენებლები.

2019 წლის 1 ივლისისთვის ბიუჯეტში ასათვისებელი თანხის დიდი ოდენობის მიუხედავად, „თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური (6 თვის) მიმოხილვა“, კომისიამ შეაფასა დამაკმაყოფილებლად. ნაშთის სიჭარბე გამოწვეულია ქონების გადასახადის გადაჭარბებით შესრულებით (157,18%), ამასთან არსებული ნაშთი გაწერილია ვალდებულებებით, რომელთა ათვისებაც დაგეგმილია მესამე/მეოთხე კვარტალში.